# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 431

„27" დეკემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ხელოვანთა ქ. №2-ში, შანდორ პეტეფის ქუჩა კორპ. №20-ის მიმდებარედ, ვაზისუბნის I კვ. IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.17.10.001.101; №01.17.10.001.102) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 3 ნოემბრის №54 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 22 დეკემბრის №04/20617 წერილის (AR1452885) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ხელოვანთა ქ. №2-ში, შანდორ პეტეფის ქუჩა კორპ. №20-ის მიმდებარედ, ვაზისუბნის I კვ. IV მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: №01.17.10.001.101; №01.17.10.001.102) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1452885 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2 აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე                    გიორგი ალიბეგაშვილი


უფლებრივი ზონირების რუკა
სექტორი 1 ფართობი-1300მ²
სექტორი 3 ფართობი
სექტორი 2 ფართობი
ჭრილი-1
4616350
4616300
4617600
1:500
A3